№ 88 აპრილი 29, პარასკევი 1888 აპრილი 29, პარასკევი № 88

ივერია

1877—1888 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გაზეთის ფასი

თვეებ	მან.	კ.	თვეებ	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	70
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიემართოს: თბილისი რედაქციის ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ნიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამგარეველებელ საზოგადოების განცალკევებულ სათავად აზნაურთ ბანკის სახლებში საასნლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

გარდაიცვალა სომეხთა გამოჩენილი მწერალი

რაფფი

დ დღეს, 19 აპრილს, დილის 9 საათსა და 15 წამზე, ნოეო-ორდოსკის ქუჩადან (სოდოდაკში), საკუთარის სადგომიდან, გასულებენ ვანქის სობორაში.

ტფილისი, 28 აპრილი

შვიდს მარტს უმაღლესად დამტკიცებულია საერელმწიფო საბჭოს სარჩელი სახელოსნო, სამრეწველო ⁂ სამეურნეო სასწავლებელთა დაარსების შესახებ. ეს გარემოება, რომელსაც დიდის სიამოვნებით მიეგება რუსეთის მწერლობა, ძალიერს ზედ-მოქმედებას იქონიებს რუსეთის ცხოვრებაზე, რ. დგანაც დიდ-ძალს ახალგაზდობას საშუალება მიეცემა საჭირო და ცხოვრებაში ადგილად გამოსაყენებელი ცოდნა შეიძინონ. დდეემდის დიდ-ძალს ახალგაზდობას არა ჰქონდა ნიდა დდეგანდელი სასწავლებლები და მრავალი უმაღვილი რჩებოდა სასწავლებლის გარეშეადდეის იქითაკი იმედია, რომ ამ სამწუხარო გარემოებას ბოლო მოეედება.

დდეემდის რუსეთში უფრო გავრცელებულია ორის ტიპის სასწავლებლები: კლასიკური გიმნაზიები და რეალური სასწავლებლები. სამეურნეო და სახელოსნო სწავლა-განათლებას-კი მცირე მოეედანი ჰქონდა მინიშნებული. მართალია, რუსეთში არსებობს რამდენიმე უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი, მაგრამ დაწუებითი და საშუალო საპროფესიონო სასწავლებლები-კი ბევრი არ იყო და რაც იყო, ისიც უსისტემოდ და შემთხვევით მოწყობილი ჰქონდათ; დდეის იქითკი პირველ დაწუებითი და საშუალო საპროფესიონო სწავლა-განათლება ისე უნდა იქმნას მოწყობილი, რომ თვითოეული სასწავლებელი სრულიად უნდა შეეფერებოდეს ვითარებას იმ ადგილისას, სადაც გამართული იქმნება. პირველის რიგის სასწავლებელი იქნება სახელოსნო სასწავლებელი, მეორისა—სამრეწველო ⁂ ამათ შემდეგ—სატეხნიკო სასწავლებლები. თითოეულის რიგის სასწავლებლის დასრულების შემდეგ ყმაწვილი იმოდენად მომზადებული იქნება, რომ ადგილად შეეძლება ფეხი შესდგას ცხოვრებაში.

ამ გვარის სასწავლებლების გამართვა, გარდა თვით მთავრობისა, შეუძლიან ერობას, ქალაქებს, კერძო საზოგადოებასა და კაცებს; უფლება ყველას ერთი და იგივე ექმნება მინიშნებული. როგორც ვსთქვით, სკოლები უნდა შეუფერონ იმ ადგილის ვითარებასა და საჭიროებას, სადაც გაჰქმართავენ. პროგრამებისა და ხარჯთაღრიცხვის შესადგენად, როგორც ამას წინად დეპეშამ გვაუწყა, უნდა შესდგეს ცალკე კომისია.

რა თქმა უნდა, რომ მმართველობის განკარგულებას განსაკუთრებითი მნიშვნელობა ექმნება ჩვენის ქეყნისათვის, რომელსაც ევოდენად ესაჭიროება საპროფესიონო სწავლა-განათლება.

ა. ს—ი

ახალი ამბავი

† დღეს, პარასკევს, ტფილისში ასაფლაეებენ სომეხთა გამოჩენილს მწერალს რაფფის, რომელიც ანთებით გარდაიცვალა აღდგომა დღეს, შუაღამისს. სომეხთა ლიტერატურამ დაჰკარგა მით ერთი პატიოსანი და ნიჭიერი მწერალი.

განსვენებულს რაფფის, რომლის ნამდვილი სახელი იყო აკოფ მელიქ-აკოფიანი, დიდი სამსახური მოუძღვის სომეხთა წინაშე თავის საღ ლიტერატურო მოღვაწეობითა. იგი გამოსულია სპარსეთიდამ, აქ, ჩვენს ტფილისს, შეეკედლა, აქ იღვაწა თავის საყვარელ ერისათვის, აქვე აიგო თვისი სახსოვარი მშვენიერის ნაწერებითა და აქვე აღსრულდა და დასაფლავდა. მთელი სომხობა ჰგლოვობს დღეს აგრე უდროდ აღსრულებულს მწერალსა, რომელმაც არა ერთხელ გამოსთქვა თავის სიკოცხლეში მადლით ცხებული ძლიერი სიტყვა და არა ერთხელ შეუნარჩუნა გული თავის თანამემამულეებს უმაღლესის გრძნობისა და აზრისათვის. ამისთანა კაკს ძნელად იეიწყებს ერი, რადგანაც ამისთანა კაცი თავის მადლიან გულში ატარებს თვითონ ერის ჭირსა და ლხინსა.

⁂ დღესასწაულების წინა დღეს საგუბერნიო ხაზინაღრის თანაშემწეს, ბ-ნს ივანოვს, ამოოღია სახელმწიფო ფულის ყუთიდამ სამას ცამეტი ათასი (313,000) მანათი ნაღდი ფული და სხვა-და-სხვა ბილეთები, ორი საზღვარ-გარეთ გასვლის ბაშფორთის ბლანკი, ბ-ნის გუბერნატორის მიერ უკვე ხელ-მოწერილი, და გაქცეულა.

⁂ აღდგომა დღეს კრწანისის ბაღებში იმერლებს დაუტრიათ ეიღაც საეკეო ყოფა-ქცევის ქალი. დაჭრილი ქალი გუშინ, 28 აპრილს, გარდაიცვალა. გამოძიება სწარმოებს.

⁂ ჩვენ მიეიღეთ ახალი ქართული წიგნი ქ-ნის ა. თუმანიშვილისა, რომელიც შეიცავს ხუთს საყმაწვილო მოთხრობას, ფრანგულიდან გადმოთარგმნილს. წიგნი რიგიანისა და გასაგების ენით არის ნათარგმნი და ლამაზად დაბეჭდილია.

⁂ ქუთაისი: 20-ს აპრილს ოლქის სასამართლომ გაარჩია ბ-ნ სცეპურას საქმე, რომელსაც ჰბრალდება რკინის გზის ფოთის სადგურის უფროსის, დეოროკოტისკის, მოკვლა. სასამართლომ საჭიროდ დაინახა საქმის ხელ-მეორედ გამოძიება და იმის შეტყობა, თუ რამდენად საღის გონების კაცია სცეპურა. თვით ბრალდებულისა და მოწმეების ჩვენებიდგანა სჩანს, რომ სცეპურა სულით აეადმყოფი ყოფილა

⁂ სოფ. ქვედა-აჯარა: ქვედა-აჯარის განყოფილებაში მოხდა შემდეგი უბედურება: ბათუმიდგან მოდიოდნენ ზემო-აჯარაში გამომძიებელი და ოლქის მკურნალი შაბლოვსკი; მიეიდნენ თუ არა სოფ. დოლოგანს ცხენითა, აქ მკურნალი გადმოგდო ცხენმა და მთლად დაუტეარა თავი. სპრალომ ნახეკარ საათის განმაელობაში დალია სული.

⁂ კავკაკი: ბარის ოსეთში თუმცა მარტმა უწვიმრად გაიარა და აპრილიც თითქმის უწვიმრად მიდის, მაგრამ ხეხილი ჯერ სრულიად არ დაყვავილებულა. ამის მიზეზი ის არის, რომ საღამოობით და დილაობით მეტად ცოდა ხოლმე დღემდის. ხაზოგადოდ ბარის ოსეთში ხეხილის ბაღებს კარგი პირი უჩანთ ჯერ-ჯერობით. ამ ხანებში ძალიან სიცხეები დაიჭირა და არ ეიცით, რა მოუვა ხეხილს. კავკაკიდგან მოსული ხილის ეპტრები ეხლაეე დადიან სოფლებში და ჰყიდულობენ იაფ ფასად წლის მოსავალს.

⁂ იქიდამეე: ეაზახის სტანიცა არხონკაში ყელჭირეება ცოტა შემცირდა, მაგრამ ახლა ყვავილი დაერია იქაურ ყმაწვილებსა. როგორც ამბობენ, ამ ორმა სენმა არხონკაში 250-დე სული იმსხეერპლაო.

ბრძანება

კავკასიის სამხედრო ოლქის მიმართ

№ 94

აპრილის 18 დღესა, 1888 წელსა.— ტფილისის ქალაქსა შინა.

სასურველნო მეგობარნო, მხედრობაე კავკასიისა! ეისწრაფეე განგიზიაროთ ის სანეტარო სიამოვნება, რომელიც ეიგრძენ მე ახლად შედგენილ ადგილობრიე კავკასიის დრუჟინების ნახვითა. ეს-ეს არის ეხლა ენახე და დავათვალიერე ეს ახალი ჯარები. ეს ნორჩი ლაშკარნი, ეს თქვენი ახალი მეგობარნი მხოლოდ რამდენიმე თვეეა, რაც მოწოდებულნი არიან; შეიძლება ესთქვათ, რომ მხოლოდ ეს-ეს არის ეხლა შეთოფ-იარაღდნენ და შეიტურნენ, მაგრამ აღლუმი ენახე და დიდად მესიამოვნა იმათი სიჩაუქე და სიკეთე, მოკაზმა-დარაზმულობა. ერთის სიტყვით, სრულიად მზა-მზარეული, კარგად დაწყობილი, და დარაზმული ჯარი და ლაშკარია ეს ახალი დრუჟინები.

კავკასიის ქვეყნო მხედრობანო! თქვენთან ერთად თავი მომწონს მეცა, რომ ასე სასიკეთოდ იჩინა თავი ფრიად დიდმა საქმემ სამხედრო ცელილებისა და რეფორმისამ კავკასიაში; თავი მოსწონს სახელდობრ იმიტომ, რომ თქვენ შორის და აგრეთვე ორ ადგილობრიე დრუჟინის, კახეთისა და გურიის მილიციის აფიცერთა შორის ეპოვეთ ის აფიცრობა და ის ჯარის-კაცნი, რომელთაც ამ საქმეში ისეთი დიდი სამსახური გაუწიეს ხელმწიფესა და რუსეთსა. ამ დრუჟინების აფიცრებისა და მათ ღირსეულ უფროსთა მადლობელნი უნდა ეიყვნეთ, რომ ახალ ჯარის-კაცთ, სულ მცირე ხნის განმაელობაში, ასეთი სწორედ განსაცეიფრებელი სამხედრო ნიჭი და უნარი გამოიჩინეს. ამ აფიცრებისა, მათ უფროსთა და აგრეთვე წინანდელ გამოცდილ ჯარის-კაცთა გულ-მოდგინებისა, კეთილ-სინდისიერად მოკალეობის შესრულებას უნდა ეუმადლოდეთ ყველა იმ სიკეთისათვის, რომელსაც იჩენენ ახლად-მოკრეფილნი ჯარის-კაცნი კავკასიაში,—ამ მეომარ ხალხით ფრიად მდიდარს ქვეყანაში. სიამოვნებით ეს-ტკბებოდი, როცა აღლუმი ენახე და ამ ახალგაზდა ჯარის-კაცთა სიყოჩაღესა და სიჩაუქეს ეუქერეოდი, როცა იმათ გაწერთვნილებასა, მოხერხებით სიარულსა და თავის უფალად ნაბიჯის გადადგმას ეხედავდი საცერემონიო მარშის დროსა. ქვემოდ, როცა დაწერილებით აეწერ თითოეულის დრუჟინის ყოფას, განვმარტავ ყოველსაე იმასაც, თუ რა გარჩევაა მათ შორის; ხოლო ეხლა-კი კველაე განეიმეორებ, რომ საზოგადოდ აღლუმის ნახვამ ყველგან დიდად მასიამოვნა და კმაყოფილებითა და სიხარულით ამავსო. აქვე დავასახელებ ერთს სასიხარულო ამბავსაც. ეს სასიხარულო ამბავი ის არის, რომ დრუჟინებში დიდი ერთობა, მეგობრობა და ძმური თანხმობაა. ტომით განსხვავებულთა შორის, რუსის აფიცერსა და სალდათსა და აქაურ მკვიდრ ჯარის-კაცთა შუა. როგორც თვითონ მე შეენიშნე და როგორც მიამბეს აგრეთვე დრუჟინების უფროსთა, მათ შორის არავითარი უთანხმოება არა ჰსუფევს ამ მხრივ; ყველანი ერთის აზრით არიან გამსჭვალულნი, იმ აზრით, რომ სეინდისიერად და სახელოვანად შეეასრულოთ ჩვენი მოვალეობა და სასურველის სისრულითა და საესებით დავაგვირგვინოთ ჩვენი საქმეო. ერთის სიტყვით, სჩანს და ეტყობა, რომ ყველაფერში ის მტკიცე საფუძველია ნაყრილი, რომელიც მე, უხუცესს კავკასიელს, ისე ცხადად წარმომიდგენს თვალ-წინ და მაგონებს ქვეყლობით საესე ანდერძსა და აღთქმას დიდებულის კავკასიის ლაშკრისა. ეს ლაშარი ხომ სასურველია და თავ-მოსაწონებელადა ჰგავს ჩვენს ძეირფასს საერთო სამშობლოს—რუსეთსა.

ახლა დაწერილებით აღგიწერთ, რა ენახე აღლუმის დროს. 7 აპრილს, კახეთში, სოფელ ყარელში დავთვალიერე იქ დაბანაკებული 1-ლი კავკასიის მეთოფურთა დრუჟინა. საპატიო ყარაული, რომელიც პირველმა როტამ გამოიყენანა, არდინარცები და ვესტოფიი ჩინებულნი იყვნენ. ყველას მშვენიერად ეკეა ტანთა, მიპასუხებდნენ ყოჩაღად და მხიარულად. რაკა ესთქვი საპატიო ყარაულის თამბაზე ყვარლის დრუჟინაზი, ესეე ითქმის გორისა და ოზურგეთის დრუჟინის ყარაულზედაეა. რაიცა შეეხება საკუთრად ტანთ-ჩაცმულობას, ჩოხების ჭრილობის ცოტაოდენს შეცვლასა, ზედ გაზრდების დაკერებას და დანარჩენს წერილმანებს, ყოველ ამის თამბაზე მე ჩემი აზრი შეეატყობინე დრუჟინების კომანდირებს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

7 აპრილს რომ აღლუმი ენახე, 1 მეთოფურთა დრუჟინა მწკრიეად იყო გაშლილი. ჩამოეუარე როტებს, სალამი მიეეცი და აქა-იქ თითო-ოროლას ლაპარაკი დავუწყე, რათა გამეგო, ზეპირ-სიტყვაში როგორ უმეცადინიათ და უბეჯითნიათ ახალს ჯარის-კაცებს. ათითოდ-თხუთმეტიოდ კაცს გამოველაპარაკე ამ გვარად. ყველა რიგიანსა და მოფიქრებულს პასუხს იძლეოდა, სწორედ ისე, როგორც წესდება მოითხოეს. ეს გარემოება დიდად სანუგეშო ამბაეია და ცხადად ამტკიცებს, რა ბეჯითად და გულ-მოდგინედ ცდილან ბატონი აფიცრები და გამოცდილ მილიციებში ნამსახურნი ჯარის-კაცნი, რომელთა შორისაც ზოგიერთმა აქაური ენა არ იცის. შემდეგ თოფის ხმარებაში ეს-ცადე დრუჟინა. ყოველიეე წესიერად და კანონიერად შეასრულეს ამ მხრივაც და თოფის სროლა როტობით ისეთი ჰქონდათ, რომ უკეთესს ეერკ-კი ინატრებს კაცი. ასე გაშლილი და ერთ მწკრივად დაწყობილი ჯარი მერე არ მწკრივად დაეწყო, ერთმა მწკრივმა გაიარა და ისეე უკან მოტრიალდა. ყოველიეე ესე შეასრულა დრუჟინამ მწყობრად, წესიერად და დიდის მღუმარებით. საცერემონიო მარშით სამჯერ გაიარა დრუჟინამ. პირველად ნაბეკარ-ნაბეკარ როტობითა, ნაბიჯით, თოფები მხარზე ჰქონდათ თაეისუფლად; მეორედაც ნაბიჯით გაიარეს, თითოთითო როტობითა; ხოლო მესამედ დამწკრიეებით და ფეხ-აჩქარებით; როცა საცერემონიო მარშით წაეიდოდნენ ხოლმე და შეჩერდებოდნენ, ბრძანებისამებრ, მაშინ შეჩერდებოდნენ ხოლმე და შესწორდებოდნენ ფრიად მალე და საკმაოდ კარგადა. ნაბიჯით სიარულიც კარგი ჰქონდათ.

დრუჟინა ძალიან კარგად არის ჩაცმულ-დახურული. ინტენდანტტაოსაგან არ მიეღია ჯერ დრუჟინას მხოლოდ ტყავის ქამრები. აღლუმის შემდეგ, მეჩეენეს სამ გვარი წესი გუდანაბადის აკიდებისა და ტარებისა, როგორც 1 მეთოფურთა დრუჟინაში,

ისე 1 ზურგის და მე-3 მეთოფურთა დრუჟინაში. მე ორ ნაირი წესი უფრო მომეწონა და უფრო მოსახერხებელი მეჩვენა, მაგრამ საბოლოოდ გადაწყვეტა ამ საგნისა მიმინდვია მეთოფურთა და მე-24 ადგილობრივ ბრიგადების უფროსთათვის. ესენი სცდილან ამ ორსავე ჩემ მიერ მოწონებულს წესს (ერთს 1-ლს მეთოფურთა, ხოლო მეორეს 1-ლ ზურგის დრუჟინაში) ბანაკად გასვლისა და დრუჟინების აქეთ-იქით წასვლის დროს და მაშინ შემატყობინებენ, რომელი წესიც უფრო უკეთესი და სახერხო აღმოჩნდება. 1-ლ მეთოფურთა დრუჟინის სადგომი, რომელიც მე ენახე ყვარელში, ციხეშია მოთავსებული, სუფთად არის შენახული და ჯარის-კაცნი ფაქიზად და წესიერად სცხოვრობენ შიგა. სადგომები, რომელიც ზოგი სახელმწიფო სახლშია მოთავსებული, ზოგი ქირით აღებულს სახლში, ყვარელშიაცა, გორშიაც და ოზურგეთშიაც მხოლოდ დროებითია ჯერ ხანობით. ყვარელსა და გორში უკვე გადაწყვეტილია აშენდეს სრულიად ახალი, სამკვიდრო ადგილები. იმედია, რომ მუშაობას შეუდგებიან კიდეც ამ ზაფხულსაც.

13 აპრილს დავთვალიერე გორში 1-ლი კავკასიის ზურგის საკადრო დრუჟინა. როგორც ყვარელში, აქაც აღლუმის დროს დრუჟინა გაშლილი იყო ერთ მწკრივად. რაზმებად დაწყობა შეენიერად ეხერხებოდათ, ჯარის-კაცნი ყოჩაღად იქცერებოდნენ. მისალმებაზე მწყობრად და მხიარულად იძლეოდნენ პასუხსა. ფრიად მოსწონად აცია და ჰხერაკა დრუჟინას. თოფსა ხმარობდნენ საკმაოდ კარგად და მოხერხებით. გაშლილი და ერთმწკრივად დალაგებული რაზმი მშეენიერად დაეწყო და დალაგდა ორ რაზმად. საცერემონიო მარშით ორჯელ გაიარა დრუჟინამ. ჯერ ნახევარ-ნახევარ როტობით, ნაბიჯითა და მერე კვლავ ნახევარ-ნახევარ როტობითვე, მაგრამ ფეხჩქარებით. ნაბიჯით სიარული 1-ლ ზურგის დრუჟინაში საუკეთესო ჰქონდათ. სრულიად თავისუფლად, დიდის ნაბიჯით დადიოდნენ ხოლმე; შეჩერებასა და კვლავ დაწყობას რაზმებად ძალიან კარგად ახერხებდნენ.

სადგომები დრუჟინისა მოთავსებულია ზოგი ქირით აღებულს სახლში, ზოგი სახელმწიფოსაში და ძალიან სუფთადაც არის შენახული.

გორში ენახე ის ადგილიცა, რომელიც ამოუჩეევია გენერალ-მაიორს ქიშმიშოესა 1 ზურგის დრუჟინის ყაზარმების ასაშენებლად. ეს ამორჩეული ადგილი ძალიან კარგია და მოხერხებული; თუ ჰიგიენისა და თუ სხვა მხრივ ეს ადგილი სწორედ ჩინებულია. გორის ყაზარმებს შემდეგში ფრიად მშეენიერი და ყოველ-მხრივ კარგი ადგილ-მდებარეობა ექმნება.

14 აპრილს ნახულმა აღლუმმა ოზურგეთში, როცა მე დავთვალიერე მე-3 მეთოფურთა დრუჟინა, განსაკუთრებით მანუგეშა და დამატკბო ქეშმარიტის სიამოვნებით. მე-3 მეთოფურთა დრუჟინა საგანგებოდ წარმოსდგა ჩემ წინაშე. საკმაო არ არის ესთქვათ, რომ ეს ჯარი ფრიად გაწყობილი ჯარიაო, არა, იგი ჯარი სამაგალითოა, რომლის ნახვით სხვაც იწერთონება და სწავლობს თავის საქმესა. ჯერ აიღეთ ამ ყოჩაღის და სულ ყმაწვილის ხალხის შეხედულობა, იმათი ტურფა ჩაცმა-დახერვა, მოსწრებული და მარჯვე სიტყვა-პასუხი, მერე მწყობრი და დალაგებული სარული, მიტრიალ-მოტრიალება, მშეენიერად დაწყობა რაზმ-რაზმად, გაბედულისა და მარჯვე ნაბიჯის გადადგმა და კიდეე, რაც უფრო პირველია, საკერეელი მდუმარება და სიჩუმე ყოველ ამ მიტრიალ-მოტრიალების დროს. აი რამ გამაკვირვა და რამ გამახარა გულითად და სულითა. დრუჟინა გაშლილი იყო და ამ ყოფაში მშეენიერად შეასრულა ყოველივე წესი თოფის მოხმარებისა და სროლისა თითო როტობითა. ჩინებულად, მწყობრად და დიდის მდუმარებით დაეწყო დრუჟინა ორ მწკრივ რაზმად, ამასთან ერთად მწკრივმა პირი იბრუნა და მერე ყოჩაღად და ეჯაჯაურად, დიდის წყობითა და დალაგებით, მშვენიერის ნაბიჯით ორჯელ გაიარა საცერემონიო მარშითა: პირველად ნახევარ-ნახევარ როტობით, თოფი თავისუფლად მხარზედ ჰქონდათ გადებული და აუჩარებლივ რაზმ-რაზმობით და ფეხ-აჩქარებით. ერთის სიტყვით, დიდად ჩინა თავი მე-3 მეთოფურთა დრუჟინამ. განმეორებით ვიტყვი ამასთანავე, რომ 1-ლ მეთოფურთა დრუჟინაში საკმე სათითაო ჯარის-კაცთა განსწავლისა და სარაზმო წესთა ცოდნისა დიდის სიმტკიცითა და საფუძელიანობით არის გაკეთებული და დამკვიდრებული. აღლუმს შემდეგ, როცა დროშები ჩაბარეს 1 და 3 მეთოფურთა დრუჟინებს, ყველა სამის დრუჟინის როტები დაბრუნდნენ საბაარეზოდამ სახლში, ყაზარმებისაკენ, ჯგუფ-ჯგუფად -ᲠᲐᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲯᲒᲣᲤᲘᲗ წინ ბომბერალნი მოუძღოდნენ. ზოგიერთს როტაში გამოცდილნი ჯარის-კაცნი ამბობდნენ რუსულ ჯარის-კაცთა სიმღერებს და დანარჩენნი ბანს აძღეოდნენ, ზოგიერთში-კი ამბობდნენ ადგილობრიეს სიმღერებსა.

ყოველ ამისათვის, რაც ენახე კავკასიის ახალ ადგილობრიეს დრუჟინებში, ამ დიდსა და მთელის ქეეყნისათვის საყურადღებო საქმეში ასეთის ბრწყინვალე დასაწყისისათვის, მე ჩემს სასიამოვნო მოვალეობადა ვსთვლი, გამოეუცხადო ჩემი გულწრფელი, მხურვალე მადლობა მეთოფურთა ბრიგადის უფროსს, გენერალ-მაიორს ტრეიტერს, რადგან იგი იყო მთავარი ხელ მძღვანელი იმ საქმისა 1 და 3 მეთოფურთა დრუჟინაში. ვმადლობ ავრეთვე 24 ადგილობრივ ბრიგადის უფროსს, გენერალ-მაიორს ქიშმიშოესა, და ადგილობრივ ჯართა უფროსს, გენერალ-ლეიტენატს დუდინსკისა.

ხოლო განსაკუთრებით უფრო გულითად და სულით ვმადლობ ამ დრუჟინების ღირსეულ კომანდირებს: პოლკოვნიკს თავადს ერისთავს, ჩიქოვანს და პოდპოლკოვნიკს კაშტალინსკის, რომელთაც ბევრად-ბევრი იშრომეს და იღვაწეს ამ საქმეში. აგრეთვე ემადლობ მათ თანაშემწეთა, უმცროს მტაბ-აფიცრებს დრუჟინებისას, პოდპოლკოვნიკებს: გორსკის, რაკოვსკი, ეახვახოვს; როტის კომანდირებს და ყველა სხვა ბატონ უმცროს აფიცრებს.

გულ-წრფელს მადლობას ეუცხადებ ყველა გამოცდილ და ახალს ვაჟკაცს ჯარის-კაცებს. დარწმუნებული ვარ, რომ იმათი გულ-მოდგინეობა და ბეჯითობა ასეთის სანუგეშო დასაწყისის შემდეგ, როგორიც ენახე აღლუმზე, უფრო იმატებს და გაორკეცდება და, თუ ეინიცობაა წელს საშემოდგომოდ უმაღლესი აღლუმი დაინიშნა, დრუჟინებს ელირსებათ ბედნიერება და ვაჟკაცურად წარსდგებიან ხელმწიფე იმპერატორის წინაშე.

სამწუხაროდ, ვერა ენახე ამ ქამადეე მე-3 კავკასიის ზურგის დრუჟინა, რომელიც დაბანაკებულია ამარატზე; მაგრამ, როგორც ამბობს თავის მოხსენებაში 24 ადგილობრივ ბრიგადის უფროსი, რომელმაც ჰნახა ის დრუჟინა, იგიც საუკეთესოდ არის განსწავლული და გაწერთვნილიო.

მხედართ-მთავარი გენერალ-ადიუტანტი

თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი.

ᲚᲐᲑᲐᲓᲘᲡᲬᲘᲚᲘ

(მოწერილი ამბავი)

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ, აპრილის 20. „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ მკითხველებმა უკვე იცან, რომ ბარის ოსების ყველა სოფლებსა ჰქაეთ ამორჩეული და დფიცებული თხუთმეტ-თხუთმეტი კაცი, რომელთა მოვალეობა ის არის, რომ სოფლის ავსა და კარგსა თვალ-ყური უნდა ადევნონ. აგრეთვე აქეთ დაეალებული, რომ სოფელში ეინც ქურდობს, ან ქურდობაში შენაშნული ყოფილა, იმათი სია შეადგინონ და წარუდგინონ მაზრის უფროსს. სიები კიდეც შეადგინეს თავ-თავიანთ სოფლებში და წარადგინეს, სადაც ჯერ იყო. ცამეტს ამ თვეისას ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡ მამასახლისებს მოუვიდათ მოწერილობა ბოქაულებისაგან შემდეგის შინაარსი ა: „ის კაცები, რომლებიც მეთვალ-ყურე თხუთმეტს კაცსა ჰყავს ქურდების სიაში ჩაწერილი, 16-ს აპრილს წარმოადგინეთ დაბა ნასრანის ციხის გალავანში, საცა იქნება ბ-ნი მაზრის უფროსი“. მამასახლისებმა, მა წერილობისამებრ, თავის სამამასახლოსში გამოუცხადეს ქურდების სიაში ჩაწერილებს. ეს ამბავი ეერ ეტანნიათ ქურდებად ჩარიცხულთა და ერთმანეთში ჩოჩქოლი და თან მუქარა დაუწყეს მეთვალ-ყურეებს. ამ ვაკაბატონებს უფრო იმისი შიში ჰქონდათ, უთუოდ იმიტომ გეიბარებენ, რომ როზგით გაწკეპას გეიპირებენო. ქურდებაცაკებმა ბევრი იჩოჩქოლეს, მაგრამ მაინც წასვლა არჩიეს; რომ არ წაეიდოდეთ, ეაი თუ ურაკი დაგეემართოსო. როგორც მოწერილობა ჰქონდათ, ისე 16-ს ამ თთვეს ყველა მამასახლისები გამოცხადდნენ თავ-თავიანთ კაცებით დაბა ნასრანის ციხის გალავანშ. აქ იმყოფებოდა კავკაზის მაზრის უფროსი, ბ-ნი გოლუბიეეი, თავისის თანაშემწითა და განყოფილების ბოქაულებითურთ; აქეე იყო დიდ-ძალი ოფიცრობა ქისტებისა და ოსებისა; სხვა ხალხს ხომ ანგარიში არა ჰქონდა ციხის გალავნის კარებში შესვლის დროს მამასახლისებისა და ოფიცრების მეტს იარაღს ყველას ართმევდნენ; სუფეელას სინჯავდნენ. აქეთ-იქით, შესავალ კარებში ბერდანკებით შეიარაღებული ოც-ოცი ყაზახი იდგა. ყაზახები რომ დაინახეს, მაშინ ხომ სულ გადაწყეეტით დარწმუნდნენ მიწეეული ქურდები, რომ გაროზგეას გეიპირებენო. შეიკრიბა ყველა სოფლიდგან დიდ-ძალი ხალხი და ირგალეე დადგა. ცალ მხარეზედ ტუსაღები გამოეყვანათ ციხიდგან და გაემწკრიეებინათ საყურებლად. მიწეეული ქურდბაცაცები სულ-განაბულები იყვნენ. მაზრის უფროსმა მოიკითხა ყველა მამასახლისები. ამის შემდეგ ბრძანა უფროსმა, რომ ესა-და-ეს ქისტი მოიყვანეთო (ეს ქ ს ტი დატუსაღებული იყო იქვე ციხეში) ყაზახებმა მოიყვანეს პერანგისა და პერანგის ამბანაგის ამარა გადაფეთრებული ქისტი. პერანგა ქისტს ჰკითხა მაზრის უფროსმა.

— არ გითხარი, რომ აღარ იქურდო-მეთქი?

— მითხარი, ბ-ნო პოლკოვნიკოვო, უპასუხა ქისტმა.

— მაშ რაღად იქურდე? ჰკითხა უფროსმა.

— შეესცდი, ბ-ნო პოლკოვნიკო, უპასუხა ქისტმა

— რაღად შესცდი, როცა გითხარ, ნუ იქურდეს-მეთქი?

— ჩემმა ეშმაკებმა მძლიეს და შემაცდინესო, უპასუხა ქისტმა.

— მაშ ჩვენ გაესდეენით შენს ეშმაკებსაო, სთქვა უფროსმა და გაუმეორა ქისტს: გიხადე საცეალი და დაუეექი ჩქარა.

უცბად გაეწინეს ქისტი და ყაზახებმა მიუშინეს როზგი. 140 როზგი დაარტყეს და, თითქო სამართებლით უსერაეენო, ისე თქრიალით გადმოსდიოდა სისხლი. იქ მიწეეული ქურდებად ჩარიცხულნი გაფითრებულნი იდგნენ ჯერ ში შით და მერე გაროზგილის საცოდაეობით.

გაროზგეის შემდეგ ჰკითხა უფროსმა ქისტსა:

— კიდეე იქურდებ?

გაროზგილმა ძლიეს-ძლიეობით უპასუხა:

— არამც თუ აღარ ვიქურდებ, არამედ სიკვდილის დროს ანდერძს დავიგდებ, რომ ჩემმა თვალით ნანახმა კაცმა აღარაეინ იქურდოს...

— გამოიყვანეთ მეორეო, ბრძანა კიდეე უფროსმა (მეორეც ქისტი იყო, დატუსაღებული) ყაზახებმა მოიყვანეს მშვენიერის შეხედულობის ეჯაკაცი, მაგრამ აღამიანის ფერ-კი აღარ ედეა, ისე გაფითრებულიყო. ჰკითხა ამასაც უფროსმა:

— არ გითხარი, რომ ნუღარ იქურდებ-მეთქი?

— მითხარ, ბ-ნო პოლკოვნიკო, მაუგო ქისტმა.

— მაშ რაღად იქურდე?

— ბ-ნო პოლკოვნიკო, ჰკითხა ქისტმა: ეს ხომ ეიცი, რომ გაროზგეა არ ამცდება, მაგრამ გთხოეთ შემატყობინოთ, რა საქმისათვის მროზგაეთ?

უფროსმა აუხსნა ქისტსა, რომ ამადა-ამ საქმისათვისაო.

— ბ-ნო პოლკოვნიკო, მართალია, ბეერი აეკაცობა ჩამიდენია, სთქვა ქისტმა: მაგრამ ეფიცავ მაღლა ღმერთსა და ძირს დედამიწასა, რომ მე მაგ საქმეში არა ეარ დამნაშაეე.

— მაშ წეიე მაჩვენე, თუ ტყეია არა გაქეს მოხეედრილიო, უბრძანა უფროსმა

ქისტმა საჩქაროდ ფეხთ გაიხადა, გასინჯეს და ერთ ალაგას ნამუწეაკრიეთ ჰქონდა წეიეზედ. ქისტმა სთქვა, რომ დაეფილი მქონდა წეიე და ჩირქი მდიოდაო. უფროსი მოელაპარაკა თავის თანაშემწე ბოქაულებს და უთხრა ქისტსა: სასამართლოს გადაეცემ შენს საქმესა და თუ მტყუანი აღმოჩნდი, იცოდე, ორ მაგოდენა როზგს დაგარტყამ. ქისტი ისევ სატუსაღოში გაგზავნა.

შემდეგ მაზრის უფროსი მოუბრუნდა მიწეეულს ხალხსა და უთხრა:

— მე მოგიწეიეთ თქვენ იმიტომ, რომ გენახათ გაროზგეა როგორია, და აი, ხომ ნახეთ; იცოდეთ, დღეის შემდეგ ეინც შესცდებით, თუნდა მცირე რამეზედაც, ყველას ეს სასჯელი მოგელით. ამის შემდეგ დაითხოვა ყველანი. მიწეეულნი რაკი გამოვიდნენ ციხის ეზოდგან, თითქო მეორედ დაიბადნენო, ისე უხაროდთ, რომ როზგს გადარჩნენ.

ᲭᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲝᲡᲘᲡᲨᲘ

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

I

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲝ!

ამ თთვის შეიდს გაზეთში დასაბეჭდად გამოვგზავნე ორი წერილი: ერთი მთავანი შეეხებოდა ქუთაისიდამ მოწერილს ამბებს, რომლებიც დაბეჭდილი იყო თქვენს გაზეთის მე-45 ნომერში; მეორე წერილში მოხსენებული იყო იმ გასაჩინობის საღამოს შემოსავალ-გასავლის ანგარიში, რომელიც გაიმართა ამ წლის ორ მარტს ქნინა ყლისაბედ წერეთლის თაოსნობით ჩვენის სათავად-აზნაურო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

შეიძლება ხსენებული ორი წერილი *) რედაქციას არ მიეღია და ანრაიმე მიზეზისა გამო ეერ დაიბეჭდა. ყოველ შემთხვევაში ეგზავნი ხსენებულ გასაჩინობის საღამოს ანგარიშს, რომ ეს მაინც დაიბეჭდოს.

ორ-მანათიანი ბილეთები გაიყიდა 132 და აღებულ იქმნა ორას სამოც-და-ოთხი მანათი; თითო მანათიანი ბილეთები გაიყიდა 125 და აღებულ იქმნა ას ოც-და-ხუთი მანათი; სხვა-დასხვათაგან შემოწირულ იქმნა ცამეტ მანათი. სულ ერთიან მოგროვდა ოთხას ორი მანათი. ამ ფულიდამ სამი თუმანი მუსიკისათვის დაიხარჯა; დარბაზის განათება დაჯდა თოთხმეტი მანათი და ექვსი შაური; მოსამსახურე ბიჭს მიეცა ორი მანათი, მოსამსახურე გოგოსაც ორი მანათი; ბილეთებისა და განცხადების დაბეჭდვისათვის ხუთი მანათ; მორთულობის მოწყობაში მანათ ნახევარი; განცხადების გაკეთაში სამი მანათი. სულ დაიხარჯა ორმოც-და-ცხრამეტი მანათი და ოთხი აბაზი. ნაღდი შემოსავალი დარჩა სამას ორმოც-და-ორი მანათი და ერთი აბაზი.

პედაგოგიურის რჩევის დადგენებით ეს ფული ასე განაწილდა: ას ორმოც-და-ორის მანათისა და ერთის აბაზის პარუსინა ეიყიდეთ და ას ოც-და-ექვს ბავშეს დაეურჩეეთ საბლუზედ და საშარვლედ. დანარჩენი ორასი მანათი სახელმძღვანელოებისათვის დარჩა.

თებერვალშიაც იყო გამართული ხსენებულ პატეიცემულ ადამიანის თაოსნობით ამ გვარიეე საღამო. ნაღდი შემოსავალი ამ საღამოდამ დარჩა სამას ორი მანათი. პედაგოგიურის რჩევის დადგენებით ეს ფული ამ გვარად განაწილდა: ორას ორის მანათის პარუსინა დაურიგდა 157 ბავშეს საბლუზედ და საშარვლედ; დანარჩენ ასის მანათისა სახელმძღვანელო წიგნები შეიძინა ჩვენმა საყმაწეილო ბიბლიოთეკამ ღარიბ ბავშეების სასარგებლოდ.

ამ გვარად ამ მოკლე ხნის განმაელობაში დიდი დახმარება აღმოუჩინა ქნინა ელისაბედ წერეთლისამ

*) რედაქციას არც ერთი წერილი არ მიეღია. რედ.

ჩენს ღარიბ მოსწავლეებს. ტარიბა-მოსი ილ დახმარებაც რომ არ მ ოვიხსენიოთ, ისიცა კმარა, რომ ჩვენმა საუკეთესელო ბიბლიოთეკამ სამასის მანეთის სახელმძღვანელო წიგნები შეიძინა. რაიცა დიდს შეღავათს აღმოუჩენს ჩვენს ღარიბ მოსწავლეებს. ეს სახელმძღვანელოები წლის დამდეგს ურიგდებათ ღარიბ მოსწავლეებს და წლის დამლეგს ე-თმევათ.

სასურველია, რომ დიდად პატივცემულ ქნენა წერეთლის მაგალითს ცხენმაც მიბაძონ და შეძლეს ისადა გვარად დაეხმარენ ჩვენს მოზარდ მოწავლეებსა.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორის თან. ალმ.

სპირიდონ ფლოდგია

ქ. ქუთაისი, 20 აპრილი

II

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოეთ შემდეგი შენიშვნა დაბეჭდოთ: სოფ. ზენდიდის მცხოვრენნი ქეფდა ავარის განკოფილებისანი სრულს მადლობას უძღვნიან ბ-ნს სულეიმან-ბეგ ტულუმბა-ზადეს და ოსმან-ეფენდის, რომლებთაგან მიეიღეთ ჩვენის ჯამეს სასარგებლოდ იმათის შრომით და მეცადინეობით მოგროვილი ფული 150 მანათი და 95 კაპ., შემოწირული სხვა-და-სხვათაგან, რომელთაც უგულითადესს მადლობას უძღვნიან ზენდიდელები.

ალდულ-ეფენდი მიქელაძე

სოფ. ზენდიდი

წერილი ამბები

ბერლინის გაზეთები ამბობენ, რომ იმპერატორმა ფრიდრიხმ მიიწვია ოსტიასთან, შარლოტენბურგის სასახლეში, ერთი ბეჭედი და თავისი ერთგული მსახური, ფონ-ეგერი ბეკერი, რომელიც, სიფიზიკის გამო, დიდი ხანია სამსახურიდგან გადამდგარია. როცა ბეკერი სწერდს ოთხშაბ შეიდა, იმპერატორმა ორიე ხელი გაუწოდა და ბეკერმა დიდის გრძნობით აღიღო თურმე. შემდეგ იმპერატორმა ურანდაზეთი დასწერა თურმე ბატარა ნაწერს ქაღალდზე: „ჩვენ ორიენი უბედურნი ვარო, ეს ერთის სმენა გაკვდა, მე დაბპრავი ან შემიძლიან. ხოდო მე-ვი შენზედ უფრო უბედური ვარო“. დიდის ბეჭითით და ტრეშლთა ფრეშკეთი გამოვიდა თურმე ბეკერი იმპერატორის სწერდ ოთხსიდგან. იმპერატორსაც მოეტრედა ოვალები.

— საფრანგეთის აკადემიას გარდაუწყეტია, რომ რუმანიის დედოფალს, რომელიც „კარმენ სილვეა“ სახელითა სწერს, იმის თხზულებათათვის ფრანგულს ენაზედ „Les pensées d'une reine“ (ფიქრნი დედოფლისანი) დაუკიდეფიას. კიდევ უდიდესად უდიდებულესს მეფეს ბ ქალს მიეცემა ფეფლი-კი არა, არამედ სამი მენდალი—ოქროსი, ვერცხლისა და ბრინჯაოსი. ამ მენდალებს ჩამოსხმა შეუკეთონია აკადემიას. მენდალებზე ამოჭრილი იქნება თხზულებათა სახელები და მ-1888 წელი.

— ბრანგებში, ინგლისშია, სამეფო ოჯაღი სულ ერთი ასნად დიაწკა. ზარადი 50,000 მანათამდე იქნება. საბედნიეროდ, ტეტსლს ადამიანთაგანი არავინ ეშინოდეთ, რადგან ტეტსლის კბენის დროს შენობაში არავინ ეოფილა.

— ბერლინში 3,000 ხარაზს ბიროსა შეეკრაკეთ, სამუშაოზედ ხელი აუღეთ და მოსდებიან ქეჩებსა. ეს ხარაზები თხოვდებენ თურმე მეჭარხნეებისაგან, რომ ეკმაყოფილი მოგვემატეთ.

— გაზეთი „Berliner Tageblatt“-ი ამბობს, რომ ექიმმა მორეფლი მეეკუზმეს გარდასწე�etეტ ფრიეფლის იმ გაზეთებს, რომელთაც ცილი დასწერეს, რომ იმპერატორის ფრიდრიხს რეგიანად და წესიერად ან არ ეჭეჭნა. „Times“-ის ბერლინელი კორრესპონდენტი ამბობს, რომ მეკეკზმის და გოუელმა უკეე ინიეფლეს ეიდეკ „Kreuze Zeitung“-სა და „Kölniche Zeitung“-ზეო.

— საფრანგეთის აკადემიას ამ ასდო ხანში გარდაეკადებულ დაბიშის მაგიერ თავის წევრად ამოეჩრეკია ანრი მეფიანკი.

— ამს წინად საფრანგეთის აკადემიამეკ დაუკიდეფია კარმენ სილეკა. ეხლა ეიდეკ დაუკიდეფეკებიათ, ბ-ნ ფეტეკეკს წინადადეთა და მოსსენებათ, ორი მეკრალი ქალი—ქ-ნი ანეკდ ბანანი და სეკკადასი. კიდეფიდ თითო ქალისათვის მიეცეთ ასანი თუმანი.

— 84 წლის ბასტორს ბრეკეისს, ბოოსანში, ორი ათასეკმეკ მსმენელი შეოფერებია და თავის თავისათვის ანდერძი აუკია. ამ ბასტორს თავისთვის სამარე გაუთხრეკინებია თურმე, კეუნო შეუკეკეთნია და ადრეკე გამოსაფლებია თავის ნაგნობებსა და ბეკობრებსა.

— ბერლინში ეკეკე დიდი სასია დადეფდა თურმე ხმა, რომ ანპონელს მაიორს ერთი ბერლინელი ემაწკალი ქალი ეკეკარსო. ეს მაიორი რწმენებული იეო ანპონიის მთავრობისა ბერლინში, ხოდო ამ თანსმდებობისათვის ეკნდა თავი დაეკენებინა, რადგან ამ კაცის გაკალენან მამის მთავრობისათვის ეთხოკნა, რომ ჩემს შეიდს როკორმე ხელი შეეშალეთ და იმ ბერლინელ ქალს ნე ეკართეკინებთ, რომლის საეკარულ

იც გამსჭკვალეფდა. მთავრობას ეკრძანება თავის წარმომადგენელთათვის: ან თავი დანებე საეკარელს ქალს და ძალან დაგაკიდდეკეთ, ბეკრს გაეწყალებთ, ან შეიროდ ჩვენი რისხვა იეარო. მაიორს მთავრობის რისხვის �-ანა ეშეკოანებია და თავი დაუნებებია სამსახურისათვის; შემდეკ შესდგომია ბერლინში, ეფხო ადგილსა და ქეკეანაში, ადგილის ძებნასა, ეშოკეთა ბერლინის ერთის კონტორაში კორრესპონდენტის ადგილი და ეკანრნა ეს მოკალეკობა. ქსდა-სან ეკარიდ დაეწერა თავის მაერ შეეკარეკელს ქალზედ და ასალეკზედ ტელეფონური ინსპანიაში კამეზსარეკეკა.

— ინდოანოსის შტატში, ამერიკაშია, ამის წინად დაუპატიმრებიათ ათის წლის ბიჭი, ეკოს ეკეკალნი, რომელსაც ქეჩაში კაცი მოეკალეკს დამსაჩიან. რაცა ეს ათის წლის ბიჭი კამოშიეკეკდათან მიეეკანანი, ეკეკ-ანრეკანად ეკიკეეს: «მაკ ჩემ მიერ მოკალეკლა კაცმა ამ სამის თთეის წინად მოჭკეკლა ჩემი მამანეკკალი, ის კაცი, რომელმაც მიაშეიკა და ალმზარკა, და რადგან მეკეკალეს სასსმრთლიმ ანრაკთანრიმე მსკავერი ან დასდო, ამიტომ მე კანეიზრასა მაგიერის გარდასდა. მე ეკრ შეეთვისეკ ის ანრი, რომ შეიძლებოდა მამაჩემის მეკალეკი თავისუფლადა და დაეხეკალდა ბრძანებულეეოკ».

— კიდაც სმიტს ინგლისში კანეზრასეკს ეკეკალ ჭეოს სასეკალი დედოფლის კიეტორიასი შთამომკალობასთვის. ამ კანეზრასეკთ სმიტს ეკნდა თურმე, „ბოეკ - რიკეკნს“ მთის ფერდობზე დარგას ხეები ინ რიკად, რომ ასოკუსს ჭნიშნკალნენ: „ეუბიდეკ 1887 წ.“. ბარეკეკი ხე სწორედ იუბიდეკს დეკს დარგეს და დანარჩენთა დასარგეკედად 200 კაცი მოეზობს.

— ამ დეკებში სეკნის სასამართლოს გაეგრჩეკია სიჭმე ერთის შეიდის მეკალეკლისა. კიდაც მარიამ ტეკისერი მასთხოვეკებია ბერრარს; ბოდოს ქმრისათვის თავი დაეკენებია და სეკკარელი ეეოკენია. 1886 წელს ეს დეკალეკი ბარიეში მოსამსახურედ დამდგარა, ბრიერის სასდობასთან. ამ წლის იანარის თთეკეში მარიამს მშვენიერი ბეკოსეეეა ეკმაწკალი ჭეოდია, გაკეკრია ეს ემაწკალი მშობიარეს ორად და ეიორეკისათვის მიეეკრია საჭმელად. ტოტა ხნის შემდეკ ემაწკალის გკმის ნაჩრჩენი ეეოკეთათ, ბოდოდა ფეკსეე დამდგარა და დაეპატიმრებია დამსაჩაეკე დედა, რომელსაც ეკეკდაფერი გეფდ-ასდიდალ ეკეთარებია და ან დაეკმაფკალ-რა. დამსაჩაეკე სეკკ 28 წლის დეკალეკია. სასამართლოს ამ ბოროტ დეკალეკისათვის მხოლოდ ეკჭინა თთეკთ სამპატიმროში დამეკეკდეკა გადაეწეკეტა.

გასართობი

საკვირველი და საოცარი ამბავი თუ გინდათ, სწორედ ეს არის! თხუთმეტს წლის ბაგეშვმა რამდენიმე მოძღვარი მოატყუა, ისე, რომ გუშინაც ვერ მიეტანეს. ეს ამბავი, რასაკვირველია, ეოგოლის უკვდავ თხზულებას „რევიზორს“ უფრო გაუკვდავებენ, სხვლის ტუოქვაზს, დაასაბუოეს. საქმე იმაში გახლავთ, მეიოხველო, რომ შარშან ბდოვში მისული ვიღაც სმირნიცკი, რომელსაც მეკვინოვად წარმოუდგენია ხლესტაკოვის როლი. ეი ამ ემაწკალს კაცმა რასა სწერს თვით სახალ-მდგელო ოქმი:

„26 თებერვალს 1887 წ. ბდოვის პოლიციის გამგეობაში ამბავი მიუვიდა, რომ ვიღაც ახალგაზდა კაცი, ასე 15 წლისა, პეტერბურგის სასულიერო კონსისტორიის მოხელეს სახელს ირქმევს და ეკალესიებს ჭსინჯავსდა ათვალიერებსო. ამასთან უწუბამაკ აქვს კონსისტორიიდგან მიცემული, რომ უნდა დაათვალიერის ეკალესიები და მოახსენის, რა მდგომარეობაშიაც იმნიკავს ეკალესიებს. ეს კაცი ყოველ ეკალესიის გასინჯვაზე სამს მანათს იღებს და ამას გარდა მეორე ეკალესიამდე წასასვლელ ხარჯსაც ჩვენ გვაძდგენენსო. ეს ემაწკალი კაცი პოლიციაში დაუბარებიათ და უკითხავთ ვინაობა. ემაწკალი კაცი მეფსალმუნე სტეფანე სმირნიცკის შვილი ალმიჩენილა. უთქამს, რომ პეტერბურგის კონსისტორიაში გმსახურეს და აქეთ გამომგზავნეს, რათა დაგათვალიერო და გაკსინჯო ეკალესიები ცარსკო-სელსკისა, ზალისენსკენგანსა, ლუგანსა და სხ. აქაც ემაწკალს კაცს კონსისტორიის ეუფუბა ეჩვენებია. ეჭვის გასსაფანტავად გაკვეზვენენ მაშინვე კონსისტორიაში დეკანეს და თუმცა სმირნიცკი გაანთავისუფლეს, მაინც შორიდგან თვალეურს ადევნებდენენ. რაცა შეატყეს, რომ სეტ-მოსეკელ გაპარვას აპირებსო, დაიჭიეს თურმე და სმირნიცკიმაც აღიარა, რომ ეუნეკა კონსისტორიისა ყალბია, ამ ყალბის ქაღალდით ოცამდე ეკალესია დაეთვალიერე და თითო ეკალესიის ნახვაში 3-დგან 6 მანათამდე ვიღებდიო“.

როგორ მოგწონთ ეს ამბავი?! ნუ თუ ეხლაც გამოჩნდება რომელიმე ბრაზ-მორეული უგუნური მოხელე და იტყვის, რომ ბოგოლის „რევიზორი“ ცილის წამებაა, არკა, მაგისთანა ამბავი ყოველდან შეეძლებელია! თხუთმეტის წლის ბალღმა მოატყუოო, ეკლესია-კი არა, მოძღვარი, რომელნიც უნდა არიგებდენენ და ასწავებდენენ ეჭსა, შეგონებდენენ ზოლმე. მერე სად მ ანდა ასეთი ამბავი? პეტერბურგის, ამ განათლებულ სიატეტო ქალაქის, ცხვირ-წინ, სულ რამდენისმე ვერსის მანძილზე, ბდოვის მაზრაში.

ოლქის სასამართლოს გადაუწყვეტია, რომ დანაშაკე რვა თთვით მინასტერში იქნასს დაეწეკდეულნო. ასეთი მცირე სასეკელი ამიტომ დაუდგიათ, რომ ბრალდებულს „უგუნურობით, უცოდინარობით და ემაწკალობით“ მოსცალიეთ. თუ მართლა ამ კაცს უგუნურად ჩაგსოგლით, მგონი, ძალიან გონიერები არც ისინი ბრძანებულან, რომელნიც ამ ახალ ხელსტაკოვს მოუტყუებენ.

**

მარტო ამერიკაში არ არიან თურმე ახირებულნი ადამიანნი, მარტო იქ არა სწერენ უცნაურ ანდერძს წარილებსა. ეი ამის მაგალითი.

გრიდნენის გუბერნიის მამულთ-მეპატრონეს, ამატიცკის, რომელსაც ერთს დროს ძალიანა ჭუვარეკია თამბაქოს წევა და ბოლეკა, შემდეგში ფილტვების ავადმყოფობის გამო თავი დაუნებებია თუუნისათვის. ეს კაცი შესდგომია და სულ ცალკე უარეფია ის ფული, რაც თამბაქოს სასყიდლად ეხარჯებოდა თურმე, რაც სწეკდა. რამდენსაც წელიწადს ასე უგროვებია, ბოლოს დიდ-ძალი ფული შემდგარა და, სიკვდილის წინა დღეს, გაპაუცანდებია: „ამ ფულით თანხა შეადგენეთ თამბაქოს არა-წეკვეულთა საშველად და შესაწეკნელადაო“. ამატიცკის მემკვიდრეეკი სცდილობენ თურმე, რომ ეს უცნაური ანდერძის ქაღალდი დაამტკიცეინონ მოთვრობასა.

დეპეშა

23 აპრილი

პეტერბურგი. უმაღლესი სახლეეულობა მობრძანდა საადგომოდ პეტერბურგსა და წირეა მოისმინა საზამთრო სასახლის ეკკლესიაში.

„Нов. Время“ იუწყება, რომ საბრეთ-დასაკლეთის რკინის გზათა საზოგადოება აპირობს ამ მოკლე ხანში შეუდგეს უმანის რკინის გზის შტოთა კეთებასაო. პირველი შტო ბრესტო-კაზატინის შტოს მოეგბის და წაეა უმანამდე; მეორე წაეა უმანიდამ შპოლას სადაკურამდე; მესამე შეუკოეოდის სადგურიდამ, რომელიც რესტკაზატინის შტოზეა, წაეა და შეუერთდება ტროსტიანეკკის შტოს. სულ 370 ვერსის მანძილზე გაკეთდება გზა და დაჯდება უეაგონებოდ და მოძრაე მასალის გარდა 13 მილიონი მანათი. საბორო ფულს იშოვნინან საობლიგაციო სესხის შემწეობითთა.

კოკენჰაგენი. საჯარო გამოფენა დაიწყება 6 მაისს. იმ უცხო გაზეთების კორრესპონდენტებს, რომელთაც ჭსურთ დასწრნენ გამოფენის დაწყების დღესა, უნდა 4 მაისამდე წარადგინონ საბუთები თავიანთ ვინაობისა.

ბრიუსელი. „Independance Belge“ იუწუება, რომ ავსტრიის ელჩად პეტერბურგში გრაფის ეოოლკენშტეინის მაგიერ დაინიშნება გრაფი ფეიმი, რომელიც ამ ქვაბად ავსტრიის ელჩად არის მიუნხენში.

ბერლინი. იმპერატორიუკეთ არის; იმის ჯან-მრთელობის შესახებ განცხადებანი აღარ იბეჭდება.

ბელგრადი. როგორც ამბობენ აქ მოსუფლები მონასტირიდამ და ბიზოალიდამ, ბერძენთა და სერბებს ერთის მხრით და ოსმალოებს მეორეს მხრით სისხლიან ღერა მოუხდათო.

ვენა. ჰერცოგინია კლემენტინა, რომელიც ამ ქვაბად ვენაში იმყოფება, ითხოვს ავსტრის სასახლის მოსამსახურეებს პრინცის კობურგისას და ჰყიდის იმის კოლლექციებსა.

ბელრლინი. იმპერატორი წამოდგა ლოგინიდამ და ისმენს სხვა-და-სხვა მოხსენებასა.

რომი. კამერ-იუნკერი იზეოლსკი და ამარდი კელე განაგრძობენ მოლაპარაკებასა.

ინინაში დიდი ამბით შესდგება კონსისტორია, რომელზედაც პაპი აკურთხებს რამდენსამ პოლშელ ეპისკოპოზსა.

24 აპრილი

პეტერბურგი. ებოძა უმაღლესი ჯილდო უწმინდესის სინოდის უწყებანი: ორდენები უმაღლეს წყალობის წერილებითურთ წმ. ალექსანდრე ნეველისა უფის ეპისკოპოსს დიონისეს; წმ. ვლადიმირისა მე-2 ხარისხისა ეპისკოპოსებს: ტავრიდისას მარტინიანს და ნიჟნე-ნოვგოროდისას მოდესტასა; წმ. ანნა 1-ის ხარისხისა ეპისკოპოსებს: დმტროვისას მისაილს, კოენოსას ანტონინს და ეოეო-მარგოროდისას ათანასეს; წინამძღვარს სერგიის წმ. სამების ლავრისას ლეონიდს და პარეოეს, თავ-მჯდომარეს სამოსწავლო კომიტეტისას, რომელიც უწ. სინოდთან არის დაარსებული.

როტმისტრს გუსარებისას ლეიბ-გვარდიის პოლკისას, დიდს მთავარს პაველ ალექსანდრეს ძეს, ებოძა პოლკოვნიკობა და თან ფლიგელ-ადიუტანტობის წოდებაც ექმნება. ებოძათ ჯილდო: ინჟანტერიის გენერალს მილლერს უმაღლესის წყალობის წერილითურთ ბ-ლიანტის ნიშნები წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენისა; ინსპექტორს ეუსეისას სამეუფო ქალაქების ზოგიერთი სასწავლებლებში გენერალს ორდენი წმ. ანნასი 1 ხარისხისა; ტანინ სოფეტნიკობა გუბერნატორებს: ეკატერინო-სლავიისას ბატიუშკოვს და კოსტრომისას კალაჩოვს, სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტის დირექტორს გალინდას და პეტერბურგის ქალაქის თავს ლიხაჩოვს; ორდენები: წმ. ანნა 1 ხარისხისა უფის გუბერნატორს პოლტარაკეკს, ფოსტისა და ტელეგრაფის მთავარ-სამართველოს უფროსის თანაშემწეს სკალკოვსკის, დირექტორებს დეპარტამენტებისას ტრიროგოვს, კულეინინს, მალიუტინს და ტფილისის საკონტროლო პალატის გამგეველს ბუტერკინს; წმ. სტანისლავი 1 ხარისხისა გუბერნატორებს: ტობოლსკისას ტროცკისა და კოენრისას კურეოეკის; წმ. ვლადიმირი მე-2 ხარისხისა ნიჟეგოროდის გუბერნატორს ბარანოვს.

გერმანიის ელჩმა რუსეთის უმაღლესს კარის წინაშე წარმოადგინა, თავის მთავრობის მინდობილობით, ხელმწიფე იმპერატორისათვის ჩასაბარებლად ნიშნები ორდენებისა წმ. გიორგისა და წმ. ვლადიმირისა პირველ ხარისხოვანთა. ეს ნიშნები დარჩა ღვთივ განსეენებულის იმპერატორის ეიოჰენმის გარდაცვალების შემდეგ, რომელმაც სიკვდილის წინად ანდერძად დასტოვა: „ამ ორდენების ნამდვილი ნიშნები უნდა უკანეე გაუგზავნოთ რუსეთის იმპერატორსა იმის ნიშნად, რომ გულითა და სულით მადლობელი ვარ ასეთის მაღალის ღირსებისათვისაო“. მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი დიდად მადლობელი დარჩა, რომ ინილა ასეთი დამტკიცება გულითადის თანაგრძნობისა რუსეთის მიმართ.

25 აპრილი

ბელრლინი. იმპერატორი ეუდად შეიქმნა და ამის გამო კურსსა დაიწყა.

პარიეი. გუშინ მთელს საფრანგეთში საქალაქო არჩეკანები იყო. არჩეკანები საზოგადოდ რესპუბლიკელების სასარგებლოდ გათავდა; ზოგიერთს

დეპარტამენტებში რამდენსამე ალაგას დიდი მანიფესტაციები იყო.

26 აპრილს

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. გუშინ ნაშუადღეს იმპერატორი უკეთ შეიქმნა და კვლავ შეიძლო მუშაობა.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ბულანჟე არჩეულ იქმნა ტიულერიში, იქაურ სათოფ-იარაღო ქარხნის შუშათა გარდწყვეტილებით, სამენიციპალო საბჭოს წევრად. პარასკევს ბულანჟე მიდის ჩრდილო დეპარტამენტში, საცა რამდენსამე ქალაქსა ჭნახავს და ლილსა და სენ-კენტენში ბანკეტე ზე დაესწრება.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ. გარდაწყვეტილ იქმნა, რომ ახალნი სიმაგრენი ააგონ ადრიანოპოლსა და ჩატალჯისთან, სტამბოლს ახლო. ჩატალჯაში ბანაკი კეთდება 50,000 ჯარის-კაცისათვის.

მაკედონიიდამ იუწყებიან, რომ აქ გაჩნდნენ ახალნი ბრძონი შეთოფიარაღებულ კაცებისა.

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ. გუშინ, საღამოს 10 საათზე სამსახურიდამ, დათხოვილმა და მერე ისევ შეწყალებულმა სერჟანტმა, რომელიც კვლავ ქალაქის პოლიციელთა შორის იქმნა შერიცხული, ესროლა საფანტით ვატენილი თოფი მეფის სასახლის ფანჯარას და შუშა გასტეხა. სერჟანტ მაშინვე შეიპყრეს. გამოროტებული პოლიციელ ემუქრებოდა მეფეს. ჭორნებენ, რომ სერჟანტი მთერალი იყოფო და სამსახურიდამ დათხოვისათვის თუ ძიობდა შურსაო.

27 აპრილი

ᲪᲔᲢᲘᲜᲘᲔ. გუშინ დიდის ამბით გადახდილის წირვის შემდეგ მთავარმა ნიკოლოზმა ეოეეოდენისა და ერის თანადასწრებით დამტკიცა ახალი სჯულდება, შედგენილი პროფესორის ბოლჩეევის მიერ; ამასთანავე წაკითხულ იქმნა ბრძანება. მთავარი ნიკოლოზი ამ ბრძანებაში დიდს მადლობას უცხადებდა იმპერატორებს ალექსანდრე მეორესა და ალექსანდრე მესამესა, როგორც სლავიანების მფარველებს და აგრეთვე სჯულდების შემდგენელთა. დასას რულ მთავარმა წარმოსთქვა გრძელი სიტყვა. ერმა ალტაცებით მიიღო ეს სიტყვა და ყვიროდა «ჟიეო!»

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ. ამბობენ, რომ ის სერჟანტი, რომელმაც თოფი ესროლა სამეფო სასახლის ფანჯარას, მხოლოდ შეგულიანებული იყო დასისაგანაო. თავის ქცევის მიზეზად სერჟანტი იმას ასახელებდა, რომ არ მინდა რუმინიის ტახტზე უცხოელი იჯდეს მეფედაო.

ᲡᲝᲤᲘᲐ. ბოლგარიის მთავრობა არ აძლევს ნებას მიტროპოლიტს კლიმენტს თავისი სამღვდელ-მთავრო თანამდებობა შეასრულოს ტირნოოში, რადგანაც მიტროპოლიტს არ ესიამოვნება პრინცი კობურგისა. პრინცის მახლობელნი ავრცელებენ ხმას, რომ თუ ძალა დაატანეს პრინცსა, მიეცი ამის ნება მიტროპოლიტსაო, ბოლგარიის დამოუკიდებლობას გამოაცხადებსო.

ᲑᲣᲮᲐᲠᲐ. აქ შესდგა კომპანია ეარშაველ ფულის პატრონთა და განზრახავ აქვს მოაწყოს ბამბის წმენდისა და პენტეის საქმე.

ᲕᲔᲜᲐ. ხვალ გამოაცხადებენ ირადეს, რომლითაც სულთანი ამტკიცებს სუეზის არხის კონვენციას. ოსმალეთს არ უნდა იკისროს თავ-მჯდომარეობა საერთა-შორისო საბჭოში სუეზის არხის თაობაზე. ინგლისი იმის თანახმაა, რომ ოსმალეთმა სუეზის არხი გამოიყენოს ჯარების გადასაყვან-გადმოსაყვანად და არაბეთის დასაცველად.

ᲐᲗᲘᲜᲐ. დედოფალი საბერძნეთისა მიდის პეტერბურგში.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. 361 ოდენ ქის 206 სამუნიციპალო საბჭოში უფროს-ერთი ხმა ეკუთვნის რესპუბლიკელებს, 16 საბჭოში—კონსერვატორებსა.

28 აპრილი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. სახელმწიფო საბჭოს სესსია 27 მაისს გათავდება. ნაფიც მსაჯულთა შესახების პროექტის განხილვა საშემოდგომოდ გადადიდო. პროექტი იმ აზრით არის შედგენილი, რომ შემცირდეს უფლება ნაფიც მსაჯულებისაო.

დღეს დასასფლავეს ვრაფინია ტიზენგაუზენი, ძველზული ფელდმარშალის კუტუზოვისა. მიცვალებულს ათის წლისას ებოძა ფრეილინობა და ამ წოდებას 75 წლის განმავლობაში ატარებდა. გვამი მიცვალებულისა დასასფლავეს ალექსანდრე-ნეველის ლავრაში. როცა ცხედარს მისაყენებდნენ, კუტუზოვის ძეგლთან მცირე პანაშვიდი გადუხადეს. ანდერძის აგებაზე დაესწრნენ უმაღლესნი წევრნიცა, რომელნიც შემდეგ ცხედარს გაჰყენენ სასაფლაომდე.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. სამხედრო მინისტრმა განუმარტა საზოგადოებათა პალატის დეპუტაციას თავისი მოსაზრებანი ინგლისისა და უფრო განსაკუთრებით ლონდონის დაცვის შესახებ და სთქვა, რომ დღეევანდელი სიმაგრენი საკმარისი არ არისო. საჭიროა გაეიჩინოთ სათადარიგო კორპუსი და ეოლონტერებიც მოვამზადოთ საომრად უფრო მეტადაო. ამიტომ საჭიროა, სხვათა შორის, 250 ბარში სახმარებელი და 80 ცხენთა დასაცველი ზარბაზანნი.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ბასტილიის დანგრევის სახსოვრად რომ გამოფენა გამართეს, ფლოკემ სიტყვა წარმოსთქვა. ამ სიტყვაში, როგორც ეტყობოდა, ბულანჟეს მომხრეებს გადაჰკრა და სთქვა, რომ საფრანგეთის ერი, რომელმაც დაამხო რამდენისამე საუკუნის განმავლობაში თაყვან-ცემულნი კერპნი, არ დაუწყებს თაყვანის ცემას იმ კერპებს, რომელნიც მხოლოდ რამდენიმე კვირაა რაც არსებობენო.

პეტერბურგის ბირჟა, 26 აპრილი

	ნაღდ. ფულ.	ბუმაგ. ფულ.	ბეჭდ. ფულ.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— „	— „	9 65
ტამოჟნის კუპონები .	— „	— „	192½
მანათიანი ვერცხლის ფული	— „	— „	1 40
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	269 „	— „	— „
—მეორისა	243 „	— „	— „
გარანტიობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— „	98½	— „
ქუთაისის ბანკისა . . .	— „	98½	— „
ტფილისის სურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	83½	— „

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეს ჩამბ(1888)წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უმ=480წელია. დაწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

აპრილი 31 დღეთ არის.

29 დღე შარასკევი. წმ. წამებულთა კეზიცაში. კეთილ. პეტრეი. მუსულ. 1-ლი რეცხვი თოვლისა რამაზანისა, 1305 ჰეჯრისა. 30 ელდანი მარტვა ეწყობათ.—ქეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—44, ჩადის 7—8. დილის 12 საათსა 27 წუთზედ დაიბადება მთვარე.

30 დღე შაბათი. წმ. მოწ. იაკობისა ათოლ. ეკატერინესი მუსულ მე-2 რეცხვი თოვლისა რამაზანისა. 1304 წ. ჰეჯრისა.—ქეშმარიტი შუა დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—9- მთვარე 2 დღისა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

მ. ი. ნიკოლაძის

მაღაზიაში მიდებულია და ისყიდება დიდ-ძალი აბრეშუმის სადა ბლონდები, აგრეთვე ნაკერი ჩიქილები აბრეშუმისა და ბამბის აფვიით და დ აბასმულებიცა.

(10—10)

დაკეწეეთ განსვედგა
სრულიად უშიშარის
ᲨᲕᲔᲓᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲩᲘᲚᲘᲡᲐ

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვსდა ფრიად იაფადაც ღირს. ნარდად მყიდველთ ბემრი დაეთმობათ.

ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

ბ. ბ. ᲢᲔᲠ-ᲐᲡᲐᲢᲣᲠᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝ.

ეერაზე, ტფილისის ქალაქში

(50—38)

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ნიხრი

16 აპრილიდამ 1 მაისამდე

თეთრი შური რუსული 1 გირ. .	5 კაპ.
შური 1-ის სარისხისა. .	3 „
„ 2 „	2½ „
თორის წითელი შური 1-ის სარის.	5 „
„ „ 2	3½ „
„ „ 3 „	3 „
ჯარის მაის შურის ფასები	
1-